პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 ივნისი, კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 133 (15954)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲐᲛᲐᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲝ, — ᲛᲣᲨᲔᲑᲝ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲝ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲗᲠᲔᲚ ᲖᲠᲓᲐᲡ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲗᲠᲔᲚ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐᲓᲛᲘ.

ივნისი 10 კვირა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისთვის მშრომელები ეგზალტირებიან როგორც დიდი დღესასწაულისათვის. არჩევნებისათვის მზადება მამდინარეობს უდიდესი შრომითი და პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში. მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მშრომელი ინტელიგენცია ამ მოვლენას უძღვნიან ახალ მიღწევებს, შესანიშნავ შრომითს, საქმეებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

მათ მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი არ დაიშურონ ძალ-ღონე, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებში, ყამირის ათვისების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ალმა-ათის საზეიმო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ამოკანებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრები, რომლებიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს, მკაფიოდ ასახავენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ამ პატრიოტიკულ მისწრაფებებს ატმოსფეროს, რომ მოიპოვონ უფრო მაღალი მაჩვენებლები.

საზეიმოდ არის მორთული თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაკონშემკიცებელი ქარხნის კულტურის სახლი, აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის № 161 ოლქის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ ᲐᲛᲕᲠᲝᲡᲘᲩ-ᲫᲔ შევარდნაძეს, რომელიც დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ამ ოლქში.

წინასაარჩევნო კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. გაჩეჩილაძემ. მან თქვა, რომ თბილისის ოლქის საარჩევნო ოლქის მშრომელები არჩევნებისათვის მზადებას აღნიშნავენ ახალი წარმატებებით ხუთწლედის განსაზღვრული წლის გეგმების შესრულებაში.

ერთსულოვნად, დიდი აღფაფრებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატს წდობით აღჭურვილმა პირებმა — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. პაპანაშვილმა და თბილისის ფოლადთუჯსამსხვილო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ ილაპარაკეს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზის, მისი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ.

შემდეგ გამოვიდნენ თბილისის ქიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის ზეინკალი დ. მოსესო�ი, პრესონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ს. ბერძენიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ო. ფიჩხაია, ახალგაზრდა ამომრჩეველი ი. ალექსანდროვსკაია და სხვები.

მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მზადებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, რა წარმატებებია მიღწეული წინასაარჩევნო შეჯიბრებაში, რა ფართოდ გამოეხმაურნენ შრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვას.

გამოსულებმა შეიტანეს კონკრეტული, საქმიანი წინადადებანი, დეპუტატობის კანდიდატს მისცეს მთელი რიგი განაწესებანი, აღნიშნეს, რომ მშრომელები ფართოდ უჭერენ მხარს და იწონებენ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს. მათ ამომრჩევლებს მოუწოდეს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს — კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი ბლოკის კანდიდატებს, შუბლიერ კომუნისტურ პარტიას, ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ შეეკრიბეთ აქ ღირსშესანიშნავ დროს, როცა ყველა საბჭოთა მშრომელი ემზადება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დიდი მოვლენისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

ვფიქრობთ რა სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების არჩევნებს, ჩვენ ბუნებრივია, თვალს ვადევნებთ განვლილ გზას, რათა შეეჯამოთ ამ ტიტანური შუშაობის შედეგები, რომელიც გასწეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, საბჭოთა მთავრობამ, ჩვენი ქვეყნის საბჭოებმა.

იმავე დროს ჩვენ ბუნებრივია, ვცდილობთ განვეკრეტოთ ჩვენი კომუნისტური ხვალინდელი დღე და მომავლის სიმაღლეებიდან შეგაფასოთ ჩვენი გეგმანდელი და დღევანდელი საქმეები.

განვლილი ოთხი წელი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპია.

განვლილი ოთხი წელი **პოლიტიკური** ასპექტით უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა **სოციალისტური** წყობილების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გაძლიერებას, ჩვენი საყოველთაო სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველთა შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, საბჭოთა დემოკრატიის ზრდას, ადამიანის უფლებათა გაძლიერებასა და კონსტიტუციურ თავისუფლებათა გაფართოებას, მასების აქტიურობის ამაღლებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე, საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეათა გამარჯვებას, სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურების ურთიერთგამდიდრებასა და ურთიერთგაღლენას.

ამ პერიოდს ახასიათებდა პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლება. საბჭოების, პროფკავშირების, ლენინური კომკავშირისა და შრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების უფლებებისა და ფუნქციების გაფართოება.

ეს წლები ნიშნავდა **საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იეტორიტეტის უმაღლეოთო ზრდას საერთაშორისო ასპარეზზე. სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებას.

ეს იყო ჩვენი **საზოგადოების** შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების წლები.

სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით განვლილი ოთხი წელი მთელი ეტაპია ჩვენი გმირი მუშათა კლასის, საბერნვანი კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თვისებრივ განვითარებაში; ეს იყო მეცხრე ხუთწლედის მოწონაე მიჯნებზე ახალ გამარჯვებათა წლები.

ამ პერიოდში ჩვენმა სახელმწიფომ. საადაც საზოგადოების წამყვან ძალად უცვლელად გამოდიოდა და გამოდის მუშათა კლასი და მისი ნაცადი ავანგარდი — სკკპ, კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ საერთოსახალხო სახელმწიფოდ განვითარების გზაზე.

სოციალური ძალების შემდგომი პროგრესი, საზოგადოების საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა შემდგომი განვითარება დიალექტიკურად იყო დაკავშირებული მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობასთან.

განუხრელად იზრდებოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი. 1970-1973 წლებში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მისმა ზრდამ წინა ოთხწლეულთან შედარებით შეადგინა 30,7 პროცენტი, ჩვენს რესპუბლიკაში კი 23,1 პროცენტი. ამავე პერიოდში ეროვნული შემოსავლის ზრდამ ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 29,2 პროცენტი, **რესპუბლიკაში კი 10** პროცენტი.

განვლილი ოთხი წელი ნიშნავდა საბჭოთა კავშირის **მრეწველობის** სწრაფ განვითარებას. როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩეველსადმი, მოქალაქისადმი, წარმატებით ვითარდება ჩვენი მრეწველობა.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მარშან გაიზარდა 1,3-ჯერ, პროდუქციის მატების საშუალო — წლიურმა ტემპმა შეადგინა 7,5 პროცენტი. შეიქმნა 16 ათასზე მეტი ნიმუშის ახალი ტიპის მანქანა, ხელსაწყო, მოწყობილობა, აპარატი და ა. შ. ათვისებულია 13 ათასზე მეტი ახალი სახეობის პროდუქციის სერიული გამოშვება.

ამ წლების მანძილზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამაც, მიუხედავად ნეგატიური პროცესებისა, რომლებიც ახასიათებდა მის შუშაობას.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკაში 1973 წელს 1969 წელთან შედარებით გაიზარდა 1,2-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპმა ამ პერიოდში საშუალოდ 5.6 პროცენტი შეადგინა წელიწადში.

საკმარისია ითქვას, რომ 1970-1973 წლებში რესპუბლიკაში ათვისებულია 277 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

ყველა ეს მაჩვენებელი წინა ოთხწლეულის ანალოგიურ მაჩვენებლებზე გაცილებით მაღალია.

განვლილი ოთხი წელი **სოფლის მეურნეობის** დარგშიც აღინიშნა პარტიის ლენინური ავრარული პოლიტიკის განხორციელებაში მიღწეული ახალი გამარჯვებებით.

როგორც ცნობილია, ამ წლებში სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული აგრარული პროგრამის განხორციელებას რამდენადმე ხელი შეუშალა გვალვამ, რომელმაც დაარბია ყამირი მაწყება და ჩვენი ქვეყნის სხვა აღმოსავლეთის რაიონები. მიუხედავად ამისა წარმატებით მიღწეულია პარტიის აგრარული პროგრამით დასახული მიჯნები.

სოფლის მეურნეობის ფრონტზე მოპოვებული ეს გამარჯვება მით უფრო საპატიოა, **რომ** იგი იქნა სტიქიასთან საბჭოთა ადამიანის უმაგალითო ბრძოლაში.

შარშან ჩვენი ქვეყნის მხვნელ-მთესველებმა გადაეარბეს ყველა რეკორდს — მათ მოიყვანეს არნახული მოსავალი — 13,8 მილიარდი ფუთი მარცვლეული.

მიუხედავად ამისა, **რომ** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ადგილი ჰქონდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტებს, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე შესამჩნევი პროგრესი დაისახა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

მაგალითად, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1970-1973 წლებში, 1966-1969 წლებთან შედარებით, 16 **პროცენტით** გაიზარდა. აქედან მარცვლეულის წარმოება გადიდდა 3 პროცენტით, ჩაის ფოთლისა — 22 პროცენტით, ციტრუსებისა — 78 პროცენტით, ხილისა — 28 პროცენტით, ყურძნისა — 7 პროცენტით, ბოსტნეულისა — 39 **პროცენტით, ხორცისა — 14 პროცენტით, რძისა — 3 პროცენტით.**

ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის ახალშენებთა ქვეყანაა, მთელ მსოფლიოში არსად არ შენდება ამდენი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი, ბინა, საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა და სხვ., **რამდენიც** სსრ კავშირში.

ჩვენ ყველანი ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲧᲝᲗᲐ **კაპიტალური შენებლობის** დარგში მიღწეული დიდი გამარჯვებებით. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სსრ კავშირში საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.600-ზე მეტი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

მილიონობით საბჭოთა ადამიანმა გადაიხადა ახალმოსახლეობა. ბევრია სხვა დიდი გამარჯვებანიც.

ოთხ წელიწადში ერთგვარი ძვრები მოხდა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაშიც.

მარტო 1970-1973 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენდა 80 დიდი სამრეწველო საწარმო ანუ 38 საწარმოთა მეტი, ვიდრე წინა ოთხი წლის მანძილზე.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებამ სოფლის მეურნეობაში 1970-1973 წლებში შეადგინა 1100 მილიონი მანეთი, ანუ 26 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა 4 წელიწადში.

1970-1973 წლების მანძილზე რესპუბლიკაში 110 ათასზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, **რომ** დღემდე განსაკუთრებით ჩამორჩენილ უბნად რჩება საბინაო მშენებლობა.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო ქალაქ თბილისში 50 ათასამდე ოჯახია, რომლებიც მწვავედ საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში არ იყო ათვისებული დიდძალი სახსრები, **რომლებიც** საკავშირო მთავრობამ გამოგვიყო საბინაო მშენებლობისათვის. ამრიგად, ჩვენ დაგვარგეთ 35-40 ათასამდე ბინა.

საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში ამგვარი ჩამორჩენის **მიზეზად** ჩვენ ვხედავთ, საქართველოს კომპარტია ყოველ ღონეს ხმარობს, **რომ** უზრუნველყოფილი იქნას საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით რეალიზაცია.

ახლა რესპუბლიკაში შენდება ოთხი დიდი სახლსამშენებლო კომბინატი, სხვა სამშენებლო ობიექტები, **რომლებიც** აუცილებელია საბინაო მშენებლობის ინდუსტრიული ბაზის გასაძლიერებლად. მხოლოდ ასეთი ბაზის შექმნის შედეგად შეეძლებთ თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველვყოთ ყველა, ვისაც მწვავედ სჭირდება საბინაო პირობების გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებანი **სრულიადაც** არ არის საკმარისი. საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ ბინების მშენებლობის ბრიგადა, დავაჩქაროთ სამუშაოთა ტემპი, გამოვეხმაროთ საჭირო რეზერვები და რესურსები, დამატებითი სახსრები, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი, ბინების განაწილების სისტემა.

ყველა ეს პრობლემა უნდა გადაწყვიტოთ, **რადგან** ამას მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ინტერესები.

პარტიის საპროგრამო ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ — სხვა სიკეთეებთან ერთად გულისხმობს **მომსახურების ხეფროს** ძირეულ გაუმჯობესებასაც.

განვლილ ოთხ წელიწადში დიდი წარმატებანია მიღწეული მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მომსახურების სფეროს გაუმჯობესებაში. მაგრამ ყველაფერი რიგზე როდია ამ სფეროში ჩვენს რესპუბლიკაში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, **რომ** ჩვენ, კომუნისტები, მუდამ პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების ერთგულნი ვართ.

ჩვენ, კომუნისტები, თვითკრიტიკული ხალხი ვართ.

ჩვენ ყოველთვის, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდშიც, ხალხს სამართლიანობის შესახებ ვეუბნებით სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს.

ჩვენი ცხოვრების კანონია თვითკრიტიკა, გულწრფელობა ხალხის წინაშე, ობიექტურობა საქმეთა და მოვლენათა შეფასების დროს.

ასეთ მოსაზრებათა საფუძველზე ჩვენ დღეს, ამ წინასაარჩევნო დღეებში, საჯაროდ ვლაპარაკობთ ჩვენს გადაუჭრელ პრობლემებზე, იმაზე, **რომ** საბინაო მშენებლობაშიც, მომსახურების სფეროშიც, ბევრ სხვა დარგშიც უამრავი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს.

მიუხედავად ამისა, **რომ** რამდენადმე გაუჭირობესდა ვაჭრობა, სამედიცინო, კომუნალური მომსახურება და სხვ., მომსახურების სფეროს ბევრ დარგში ჯერ კიდევ არ არის შესამჩნევი ძვრა, განსაკუთრებით ცუდად არის საქმე საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში, როგორც ამას სრულიად სამართლიანად წერდა ამას წინათ გაზეთი „იზვესტია“.

ეგებება რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, საქართველოს კომპარტია ჰპირდება რესპუბლიკის ამომრჩეველს, **რომ** სრულ ბოლშევიკურ წესრიგს დამყარებს მომსახურების სფეროში.

განვლილი ოთხი წლის მანძილზე მიღწეულია **გარდატეხა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებაში.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველსადმი აღინიშნულია, **რომ** მოსახლეობის რეალური შემოსავალი უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გაიზარდა 20,5 პროცენტით, შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში — 18,9 პროცენტით.

მარტო 1973 წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 30 მანეთით გაიზარდა.

ყოველწლიურად მატულობს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, თუ 1969 წელს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი რესპუბლიკაში შეადგენდა 102 მანეთს, 1973 წელს ეს ციფრი 113,4 მანეთამდე გაიზარდა.

იზრდება **კოლმეურნეთა** შემოსავალიც.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის პრემიები 1 კაცდღეზე, 1969 წელს შეადგენდა 3,45 მანეთს, 1973 წელს — 4,22 მანეთს, ესე იგი გაიზარდა 0,77 მანეთით.

საბჭოთა ადამიანები უკეთ იკვებიან, უკეთ იცვამენ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება მაჩვენებლები ალბათ კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა წარსულში შეცდომები **რომ** არ ყოფილიყო დაშვებული რესპუბლიკის ეკონომიკის ხელმძღვანელობაში.

ამ შეცდომებზე ბევრჯერ გვილაპარაკია. ახლა არა აქვს მათს გამეორებას დღეს. მაგრამ შევნიშნავ, **რომ** ისეთ პირობებშიც კი, როცა დაშვებული იყო უხეში ვოლუნტარისტული და სუბიექტივისტური შეცდომები, ზრუნვის მთავარი ობიექტი მაინც მშრომელი კაცი იყო.

საქართველოს კომპარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და ეს გასაგებიც არის, რადგან მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში ეს ამოცანა დასახულია უპირველეს ამოცანად.

ჩვენი სახელმწიფო წყობილების მთელი სიბრძნე სწორედ ის არის, **რომ** პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის შესრულება გარანტირებულია არა მარტო ცალკეულ პიროვნებათა მიერ, რა მაღალი პოსტიც უნდა ეკავოთ მათ, არამედ მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა სისტემის მიერ.

ამიტომ არის, რომ ჩვენი ამომრჩეველი არასოდეს არ ცდება, როცა ხმას აძლევს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის პროგრამას.

მისთვის უცხოა ეჭვი და შიში ზვალინდელი დღის წინაშე. იგი აბსოლუტურად დარწმუნებულია, **რომ** თუ პარტიამ თქვა, ასეა იქნება.

მაღალმა კომუნისტურმა იდეალებმა მოუწინარეს ყოველის ხარეის შესხმა ჰპოვეს ჩვენი პარტიის, ჩვენი დეპუტატების ზრუნვაში კომუნიზმის მშენებელი ადამიანისათვის, საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლების მათს მხურვალე დაინტერესებაში.

დღეს მოხარული ვართ მოგახსენოთ რესპუბლიკის ამომრჩეველს, **რომ** რესპუბლიკის ცხოვრებაში წინათ არსებული ნეგატიური პროცესების მიუხედავად ძირითადად შესრულებულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინასაარჩევნო დაპირებანი.

ასე იყო წარსულში, ასე იქნება მომავალშიც.

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყოველწლიურად ეზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, პენსიები ეძატებათ მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, მარჩენალდაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, სტიპენდიები — სტუდენტებს და ტექნიკუმებისა და სასწავლებლების მოსწავლეებს და ა. შ.

ადამიანისთვის ზრუნვა მუდამ კონკრეტული ხასიათისა უნდა იყოს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოაჩნია, **რომ** რესპუბლიკის მშრომელებზე ზრუნვის ერთ-ერთი რეალური გამოვლინებაა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც განხორციელდა რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების, ქალაქებისა და ეკონომიკურ ტების პირველი საჭიროების სოფლებთან, სამრეწველო პროდუქციით, სურსათით, უწინარეს ყოვლისა ხორცით, რძით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით და სხვა პროდუქტებით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

ეკონომისტთა საკარაუდო გაანგარიშებით, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის მეშვეობით ქალაქ თბილისის მოსახლეობის ხელმისაწვდომით მომარაგების პრობლემის გადაჭრამ მოსახლეობის რეალური შემოსავალი დაახლოებით 15-20 პროცენტით გაზარდა.

ამხანაგებო!

განვლილი ოთხი წლის მანძილზე ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ გამარჯვებანი მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურამ, მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ.

ამ წლებში დიდ **წარმატებებს** მიაღწია ქართულმა **კულტურამაც, ჩვენს რესპუბლიკაში** მცხოვრები **ყველა** ხალხის **კულტურამ.**

რესპუბლიკის მეცნიერთა შრომები, ქართველი მწერლების წიგნები, ქართული ხელოვნების მოღვაწეთა სახელები მსოფლიოს თეატრების ყველა ქვეყანაშია ცნობილი.

მაღლდება რესპუბლიკის კულტურული ცხოვრებაც რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები.

ამხანაგებო!

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებული სამნაწილ სოციალისტური დისციპლინა წარმოებაში, გადაჭრა წარმოების ბევრი ძირეული პრობლემა. ეკონომ, ქარხანაში მრეველი წლის მანძილზე პირველად შეიქმნა მუშახელის დადებითი ბალანსი, ესე იგი ქარხანამ, **რომელიც** მუშახელის ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდა, ბოლო მოუღო კადრების დენადობას. ამ თვალსაზრისით, **რომ** ახლა სამუშაოდან მიდის მუშათა ნაკლები რაოდენობა, ვიდრე იღებენ. შრომითი ბალანსის ამგვარმა პოზიტიურმა შეცვლამ დაუყოვნებლივ გამოიღო ნაყოფი — გაიზარდა ბევრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, სრულდება **ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲗ** პროდუქციის საერთო გამოშვების, ისე რეალიზაციის გეგმები. ერთი სიტყვით, წარმოება აღმავლობის გზაზეა.

ასევეა ძვრები შესამჩნეია რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებშიც, რესპუბლიკის ინდუსტრიის ბევრ სხვა გიგანტში, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

სოციალისტური საზოგადოება წარმოუდგენელია მტკიცე, როგორც ლენინი ამბობდა, რკინისებრი დისციპლინის გარეშე, ამიტომ, ეგებება რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალ არჩევნებს, საქართველოს კომპარტია მშრომელთა მასებს, ამომრჩევლებს აღუთქვამს, **რომ** თვალსაჩინოვით გაუფრთხილდება სოციალისტური დისციპლინის ლენინურ პრინციპებს, ვინაიდან სწორედ ეს მიაჩნია ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ღირებულ წყაროდ.

პარტია გვასწავლის, **რომ** ჩვენი საზოგადოება დისციპლინისა და დემოკრატიის ერთიანობით არის ძლიერი. მომწიფებული, განვითარებული სოციალისტური საზოგადოება მარქსიზმ-ლენინიზმის დემოკრატიული იდეების გამარჯვების ნიმუშია.

განვლილი წლები იყო მშრომელთა უფლებების შემდგომი ზრდის წლები. უნდა აღინიშნოს, **რომ** ამ პერიოდში იქნა მიღებული დეპუტატის სტატუსი.

სტატუსი — ეს არის დეპუტატის უფლება-მოვალეობათა ნამდვილი ქარტია, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარების გარანტია.

მშრომელები თავიანთი დეპუტატებს მეშვეობით მონაწილეობენ ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. დეპუტატები ლაპარაკობენ და მოქმედებენ ხალხის სახელით და ხალხის საკეთილდღეოდ. მათი უფლებებისა და ფუნქციების გაფართოება სხვა არა არის რა, თუ არა მშრომელთა მასების უფლებებისა და ფუნქციების გაფართოება, მაგრამ თავისთავად უფლებათა ეს გაფართოება თვითონ ჩენას, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დამტკიცებული მეცხრე ხუთწლედის შესახებ დირექტივების შესრულებაში, არამედ გავალთ კიდევ ყველაზე მოწინავე მიჯნებზე. რომლებსაც ითვალისწინებს ხუთწ

ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში

(მაგრძელება).

სესსიამ დასახა დეპუტატთა მიერ აღძრული პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის ღონისძიებანი.

უფრო ფართოდ უნდა ინერგებოდეს ასეთი პრაქტიკა რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში, განსაკუთრებით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭოების მუშაობაში.

ეს აუცილებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში ურთიერთგავლენისა და ურთიერთკონტროლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

როცა დემოკრატიაზე გლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გქონიათ, რომ როგორც ადგილობრივი, ისე უმაღლესი საბჭოების დეპუტატები დიდ სოციალურ აქტივობას უნდა იჩენდნენ არა მარტო თავიანთ სამსახურში, ირამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით საბჭოებშიც, სადაც უნდა მოქმედებდნენ როგორც მშრომელთა მასების სრულუფლებიანი წარმომადგენლები, როგორც ეს ბოროტმოქმედება და დარღვევა ბევრქნებოდა, ყველა დეპუტატი თავის პოსტზე, მოწოდების სიმაღლეზე ორ ფიციალურად ნაიარა, და რომელმაც, გაუზვიადებლად შეგვიძია ვთქვათ, დიდი როლი შეასრულა „არა მარტო დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, არამედ რესპუბლიკის მთელი კომპარტიის ცხოვრებაშიც.

ამ მხრივ საგულისხმოა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი. ეს რაიონი დიდი რევოლუციური, შრომითი, ინტერნაციონალური ტრადიციების მქონე რაიონია. მასთან. დაკავშირებულია ისეთი ცნობილი რევოლუციონერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნათელი ფურცლები, როგორიც იყვნენ ოსიპ სტალინი, მიხა ცხაკაია, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე წულუკიძე და ბევრი სხვა პროფესიონალი რევოლუციონერი. განსაკუთრებით ვამაყობთ იმით, რომ აქ, ამ რაიონში მუშაობდნენ სრულიად საკავშირო მამასახლისი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, დიდი საბჭოთა მწერალი, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. ამ რაიონში განსაკუთრებული ძალით იგრძნობა პირველი რევოლუციური წრეების, პირველ მაისობათა ცოცხალი სუნთქვა, რომელთა შესახებ ასე ამღელვებლად წერდა ლენინური „ისკრა“.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი დიდი სამრეწველო პოტენციალის მქონე განვითარებული ინდუსტრიული რაიონია. ამ რაიონის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი არა მარტო დედაქალაქსა და რესპუბლიკაში, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც.

აქ განლაგებულია 80-ზე მეტი სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმო, რომელთა შორის არის ისეთი დიდი საწარმოები, როგორც ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსაშენებლო ქარხანა, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგიგანტი, ბელი ქარხანა, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და სხვ.

რაიონის მრეწველობა უშვებს 710 სახეობის პროდუქციას. მისი მთლიანი პროდუქციის მოცულობა ქალაქ თბილისის მთელი სამრეწველო პროდუქციის მეოთხედს სჭარბობს.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის რეალიზაციის, გეგმის გადაჭარბონ: 1974 წელს — 5 მილიონი მანეთით, 1975 წელს — 6 მილიონი მანეთით. უზრუნველყონ წარმოების ზრდის ხუთწლედით დასახული ტემპი, თანიც პროდუქციის მატება ძირითადად მიიღონ შრომის ნაყოფიერების გაზრდის გზით.

ლენინის რაიონის მრეწველობამ 27 მაისს შეასრულა ხუთი თვის გეგმა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ რაიონი არ აპირებს დათმოს მიღწეული მიჯნები, პირველი, ზოგიერთი მოწინავე საწარმო, როგორიც არის სტალინის სახელობის ელექტროგიგანტი შემკეთებელი ქარხანა, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, კონიაკის ქარხანა და სხვები, იყენებენ ყველა შესაძლებლობებს, რათა არჩევნების დღისათვის— 16 ივნისისათვის შეასრულონ ნახევარი წლის დავალება.

მაგრამ უნდა შევახსენო ნამეუნრეო და პარტიულ ხელმძღვანელებს, რომ წარმატებების მიუხედავად, ბევრი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებელი ჩამორჩება მეცხე ხუთწლედის საგეგმო დავალებებს. გადაუჭრელ პრობლემებს უნდა მივაპყროთ მთავარი უურადღება.

დიდი პერსპექტივები ისახება რაიონის მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მომსახურების სფეროს, მეცნიერების, კულტურის წინაშე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შუაზე.

აშენდება ახალი სამრეწველო საწარმოები, კვების და მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის ახალი ობიექტები, საინჟინერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვ.

ლენინის რაიონი თავის ძალებში დარწმუნებული მიდიოდეს ნათელი მომავლისაკენ.

ამხანაგებო!

როცა მშრომელი კაცისათვის ბრძენთა აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმების შესრულება, ჩვენი ზრდის პერსპექტივების განვითარება პირობებს უქმნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ფასსარმოქმნის, მოიხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოუყვანის სფეროში კონტროლის გაძლიერებამ ისეთი პირობები შექმნა, როცა სახელმწიფო ვაჭრობის სისტემა მოსახლეობას სთავაზობს უფრო ხარისხიან და უფრო იაფ საქონელს, ვიდრე ბაზარი, როცა სახელმწიფო ვაჭრობა დღითიდღე ზრდის თავის ხვედრითს წონას პირველი საჭიროების საქონლით, ფართო მოიხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგებისა და უზრუნველყოფის სისტემაში. ამით ექმნით პირობებს ბაზარზე ფასების შემდგომი შემცირებისათვის, ლაბორის ვექვმი სიძვირეს, სპეკულაციისა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული, რეალური ზრუნვა ჩვენი მშრომელებისათვის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქციის სტანდარტიზაციის მოწესრიგება და სხვა ამგვარი ღონისძიებანი სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტული ზრუნვა მშრომელი ადამიანისათვის.

შრომის ნაყოფიერების ამაღლება წარმოების ინტენსიფიკაციის ბაზაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და სხვა სიკეთენი, რომლებიც ჩვენთვის მოაქვს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებთან მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის უპირატესობათა შეერთებას — ეს საბოლოოდ, ადამიანისთვის ზრუნვაა. ერთი შეხედვით განყენებული პოლიტიკურ-ეკონომიური ტერმინები იძენენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვის კონკრეტულ გამოხატულებას, რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, უბრალოდ რომ ვთქვათ, საჭირო საქონლის სიუხვეს და მის დაბალ, ხელმისაწვდომ ფასებს ნიშნავს. ეი რატომ აღიქვამენ საბჭოთა ადამიანები, როგორც მათზე ზრუნვას, სკკპ პროგრამასა და პარტიის მიერ ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში დასახულ ამოცანებს.

ჩვენი ცხოვრების განვითარების დიალექტიკა ისეთია, რომ პარტიისა და მთავრობის ყოველი გადაწყვეტილება, ყოველი დირექტივა, ყოველი დადგენილება საბოლოო მიზნად ისახავს მშრომელების, მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის კეთილდღეობას.

ამხანაგებო!

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი მოსკოვი გადავაქციოთ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად. მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებს სურთ მხარი გაუწიონონ მოსკოვს, რაც სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, ამიტომ საქართველოს კომპარტიამ, მისმა დედაქალაქის ორგანიზაციამ წამოაყენეს საბრძოლო დევიზი — „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტური კულტურის ქალაქად, კომუნისტური შრომისა და ყოფის ქალაქად!“

ეს ეპოქალური მნიშვნელობის ამოცანაა, და იგი უნდა გადაწყვეტილთ არა ლოზუნგით, არამედ თვითეული თბილისელის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის სისტემატური ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობით.

თვითეული თბილისელის მაღალი პასუხისმგებლობა ჩვენი დედაქალაქის კომუნისტური კულტურისა და ყოფის ქალაქად გადაქცევის გადამწყვეტი ფაქტორია.

კომუნისტური კულტურისა და ყოფაცხოვრების ქალაქი — ეს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების ქალაქია.

ჩვენს დედაქალაქს, ისევე როგორც ჩვენს რესპუბლიკას, ინტერნაციონალიზმის დიდი ტრადიციები აქვს.

აქ მხიარულობენ ცხოვრობენ და მუშაობენ 70-ზე მეტი ეროვნების მშრომელები — ქართველები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები, ებრაელები და ბერძნები, ქურთები და ალსორები, ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

თბილისი ხალხთა ერთსულოვანი ოჯახია. თბილისს თავზე მეგობრობისა და ძმობის მარადიული ლენინური მზე, ბრწყინავს.

თბილისი გახდება სანიმუშო კომუნისტური ქალაქი, თუ მისი ყველა მცხოვრები, ყველა ეროვნების წარმომადგენელი ეროსულოვნად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

ჩვენ გვაერთიანებენ კომუნიზმის იდეები, ოქტომბრის ენა, მეგობრობისა და ძმობის ენა — დიდი ლენინის ენა და ეს ჩვენი წარმატებების გარანტია.

კომუნიზმი მსოფლიოს ახალგაზრდობაა და იგი ახალგაზრდებმა უნდა აშენონ!

თბილისში ცხოვრობს და სწავლობს რესპუბლიკის მთელი სტუდენტობის 76,9 პროცენტი, ტექნიკუმებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა რესპუბლიკური კონტინგენტის 38 პროცენტი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა 17 პროცენტი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა 34,5 პროცენტი.

ასე რომ თბილისს სამართლიანად ეუწოდება ახალგაზრდობის ქალაქი.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები კომკავშირთან ერთად ღრმად და ყოველმხრივ უნდა გაერკვნენ ახალგაზრდობის პრობლემებში. დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემებს, მუშა ახალგაზრდობის, ახალგაზრდა მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამის წინათ შეისწავლა დედაქალაქის სკოლების მუშაობა და დაასკვნა, რომ ბევრ ისეთ სკოლამიც კი, რომლებიც მოწინავე სკოლებად ითვლებიან, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ბევრად ჩამორჩენა სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს.

ამ ფაქტებს სერიოზულად უნდა დაეფიქრდეთ, რაგან ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია.

ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის თვისებები ბევრად განსაზღვრავენ ჩვენი მომავალი საზოგადოების თვისებებს.

ჩვენს ეპოქაში — აქსელერაციის ეპოქაში — იცვლება წარმოდგენა ასაკზე.

ახლა უფრო სწრაფად მიმდინარეობს ჩვენი ყმაწვილების ბიოლოგიური, ზნეობრივი, ინტელექტუალური, პოლიტიკური მომწიფების პროცესი.

ისინი სწრაფად ითვისებენ ყველაფერს, სწრაფად ვითარდებიან.

შესაბამისად უნდა ვითარდებოდეს პედაგოგიური მეცნიერება, მთელი სასწავლო-პედაგოგიური პროცესი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში.

სხვაგვარად შეიძლება დაკარგოთ კონტროლი მოზარდი თაობის შეხედულებების, ჩვევების, პოლიტიკური მსოფლმხედველობის ნამოყალიბების პროცესისადმი, ეს კი დამაფიქრებელი ფაქტია.

არც ერთი ახალგაზრდა არ უნდა სუნთქავდეს მოწამლული ჰაერით, რომელიც აქა-იქ შემორჩა ჩვენს საზოგადოებაში.

უშუალოდ მოგიდოთ ხელი ახალგაზრდობის პრობლემებს! — ასეთი უნდა იყოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, საქართველოს მთელი კომპარტიის ერთერთი საბრძოლო ლოზუნგი.

კომუნისტურ ქალაქში უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური იდეალებით აღზრდილი ახალგაზრდობა.

თუ გვინდა, რომ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად ვაქციოთ, ჩვენ ყოველდღიურად, ყოველ საათს უნდა ვამაღლებდეთ ჩვენი დედაქალაქის ყოველი მცხოვრების „პასუხისმგებლობას.

ეს პასუხისმგებლობა უნდა იგრძნობოდეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა სფეროში, ცხოვრების ყველა სფეროში.

თბილისელი მუშის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მაღალი პასუხისმგებლობა ის არის, რომ ქალაქ თბილისის მრეწველობა უშვებდეს ჩინებული ხარისხის, მსოფლიო სტანდარტების შესაფერის პროდუქციას.

თბილისელი მშენებლების მაღალი პასუხისმგებლობა ის არის, რომ შაოალხარისხოვნად შენდებოდეს სამრეწველო ობიექტები, კულტურის ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, პოლიკლინიკები, სკოლები. ხალხი უნდა ამბობდეს: „თბილისელებმა ააშენეს? მაშ ჩინებული იქნება!“.

თბილისელი მეცნიერის მაღალი პასუხისმგებლობა ნიშნავს მეცნიერული მოღვაწეობის მაღალ კულტურას, სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის მეცნიერულ ორგანიზაციას, ახალ აღმოჩენებს, უშუალო საწარმოო ძალად მეცნიერების გადაქცევისათვის მიმდინარე მუშაობის გაძლიერებას, ახალ შრომებს ფუნდამენტურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში.

ლიტერატურის, ხელოვნების ყოველი მოღვაწის მაღალი პასუხისმგებლობა ნიშნავს პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, კრიტიკის, მუსიკის, მხატვრობის, სასცენო ხელოვნების, კინოს, არქიტექტურის ნაწარმოებთა შექმნის თანამედროვე კულტურას.

ქალაქ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მაღალი პასუხისმგებლობა ნიშნავს მთელი სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობის მაღალ დონეს.

ვაჭრობის მუშაკთა მაღალი პასუხისმგებლობა ნიშნავს ვაჭრობის თანამედროვე კულტურას.

ქალაქ თბილისის მთელი მომსახურების სფერო უნდა მუშაობდეს სერვისის საკავშირო და მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

თვითეული თბილისელის მაღალი პასუხისმგებლობა ნიშნავს ქალაქის მაღალ სანიტარიულ, ჰიგიენურ კულტურას, იდეალურ წესრიგსა და ულამაზესობას.

თვალსაჩინოდ ეს ასეთია: ბინა, ეზო, ქუჩა, ყოველი სკვერი, ყოველი პარკი, ყოველი მიკრორაიონი, ყოველი ეზო, ყოველი ბინა ყოფა-ცხოვრების თანამედროვე სანიმუშო კულტურის დონეზე უნდა იყოს.

ჩვენი ქალაქი „მწვანე ზღვის“ ზოლით უნდა იყოს გარშემორტყმული. ტუიალად როდი ამბობს ხალხი, ვისაც ერთი ხე მაინც დაურგავს, ამაოდ არ უცხოვრიაო.

ჩვენ ვიწონებთ თბილისელთა და რესპუბლიკის ყველა მცხოვრების ინიციატივას, რომლებმაც გამოიჩინეს კეთილი ნება, რომ შექმნან ბაღები „მწვანე ზღვა“ თბილისის გარშემო.

ამ ფაქტით ვლინდება ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა დიდი სიყვარული, დიდი ზრუნვა მშობლიური დედაქალაქისათვის. მათ სურთ, რომ თბილისი დღეს უფრო ლამაზი, მშვენიერი, უფრო კულტურული, უფრო თანამედროვე იყოს, ვიდრე გუშინ, ხვალ კი — დღევანდელზე უკეთესი.

ჩვენ მადლობას ვუხდით რესპუბლიკის მშრომელებს, ქალაქისა და სოფლების მცხოვრებლებს, რომლებმაც იცოდნ, რომ ჩვენს დედაქალაქში ახლა გაშლილა გრანდიოზული მშენებლობა არც ისე ფშვიანად წარმოებს რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მშენებლობის პროგრამის გარკვეული შემცირების ბაზაზე. მიუხედავად ამისა, ისინი ხალისით თანხმდებიან ამას, შეგნებული აქვთ, რომ ეს საჭიროა, რათა ჩვენი დედაქალაქი არ ჩამორჩებოდეს მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს, რათა იგი იყოს ქალაქმშენებლობის თანამედროვე კულტურის დონეზე.

მადლობა ყველა მათ მოვალეობის ამ მაღალი შეგნებისათვის.

ქალაქ თბილისის მშრომელება, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა სხვა მცხოვრენი, მხურვალე მადლობას უხდიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და საბჭოთა მთავრობას ჩვენს დედაქალაქზე განსაკუთრებული ზრუნვისათვის.

ჩვენი დედაქალაქისათვის ზრუნვის მაღალი გამოვლინება იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება და პარტიისა და მთავრობის ერთობლივი დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ დახმარება გაუწიეს რესპუბლიკას, განსაკუთრებით ქალაქ თბილისის მცხოვრებლებს, რომლებიც 1972 წლის წყალდიდობამ დაზარალა.

ამ დახმარების მეოხებით ასეულობითასობით მშრომელმა, რომლებიც უსახლკაროდ და მინიმალური საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩნენ სტიქიური უბედურების შედეგად, მიიღეს კეთილმოწყობილი ბინები და მატერიალური დახმარება. ამის მარტო ეკონომიური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს აგრეთვე ამ აქტის პოლიტიკური მნიშვნელობა.

ჩვენ მადლობას ვუხდით მომე მოკავშირე რესპუბლიკებს — უკრაინას, სომხეთს, აზერბაიჯანს, უზბეკეთს, სსრ კავშირის დედაქალაქ მოსკოვს, რეგოლიციის აკვანს — ლენინგრადს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და ქალაქებს „ძმური, უანგარო დახმარებისათვის.

ასეთი ფაქტები ბევრია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას დახმარება და მხარდაჭერა რომ არ გაეწიოთ, ვერ ავამენებდით თბილისის მეტროპოლიტენს — ჩვენი დედაქალაქის სიამაყეს.

მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ მსოფლიოს ბევრი უდიდესი სახელმწიფოს დედაქალაქებს ჯერაც არა აქვთ მეტროპოლიტენი.

და რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება!

მხოლოდ დიდმა ოქტომბერმა დაგვისახა ნათელი პერსპექტივა, გაგვიხსნა პროგრესისა და აყვავების გზა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვესწრო მრავალი თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე განვითარებული სახელმწიფოებისათვის. ჩვენ ყველფერი უნდა ვიღონოთ, რათა პარტიისა დ მთავრობის ასეთი ზრუნვის პასუხად ჩვენი დედაქალაქი გადავაქციოთ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

ჩვენ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ინდივიდუალიზმს, სხვათა მოიმედეობას, ზეიერლეობასა და ყოყოჩობას.

არიან ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისინი მხოლოდ უნდა ტაბიდნენენ მშობლიური დედაქალაქის სილამაზით, სხვისი ნაოფლარით, მაგრამ ფიქრობენ, რომ მათ სრულიადაც არ ევალებათ საკუთარი წვლილი შეიტანონ მშობლიური დედაქალაქის აყვავების საქმეში. ესენი არიან მეშვეთახრები, ზარმაცები და ანაზღაურები. ჩვენი საზოგადოების ფაქტიური ანტიპოდები, თავისებური პარაზიტული ელემენტები. გადაგვარებულები. ასეთ განწყობილებებსა და ასეთ ტიპებს, ასეთ ეროპატრიოტებს ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ჩვენ ათასობით გადაუწყვეტელი პრობლემა გვაქვს. და ეს შაირიტა პატრიოტმა მთელი თავისი ყურადღება და თბილისის ყველა მცხოვრების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ყურადღება უნდა მიაპყროს ამ გადაუჭრელ პრობლემებს, არ უნდა ყოყოჩობდეს მიღწეულით და ყალბად არ ესმოდეს ეროვნული ღირსების, პატიოსნების, სიამაყის ცნება.

ის კი არ არის ჭეშმარიტი პატრიოტი, ვისაც ჰგონია, შინაურული ამბები არ უნდა გამოვაშუბეროთო, საკუთარი ნაკლი უნდა დავმალოთო, ეითომდა ეს ლაბადეს ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის ღირსებას სხვა ხალხების თვალში. არა, ჭეშმარიტი პატრიოტი ვერ იქნება თავის თავზე დიდი წარმოდგენის ადამიანი.

ამას წინათ წვიკითხე მოთხრობა, რომელიც მთავრდებოდა ძველი სენტენციით ამის შესახებ, რომ ქვა არ უნდა დაგუშინოთ საკუთარ სახლს.

მოთხრობა იმდენად ბუნდოვანი და ფაქტობრივად ფალსიფიცირებული ყოფილა, ამიტომ ეს ეროვნული ნაკლი ბოლოს ეროვნული ნაკლი ეროვნული ნაკლი ეროვნული ნაკლი

ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში

(დასასრული).

ჩვენი ცხოვრების ამ მეტად მტკიცე სფეროშიც, ისევე, როგორც ყველა სფეროში.

ამხანაგებო!

ჩვენს ეპოქაში, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში სულ უფრო იზრდება პარტიის ხელმძღვანელი როლი.

ჩვენი პარტია, რჩება რა მუშათა კლასის პარტიად, ამასთანავე მთელი ხალხის პარტია გახდა, იგი მთელი ხალხის პარტიაა იმიტომ, რომ მთელი თავისი გმირული ისტორიის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც ყველაზე რევოლუციურმა, ყველაზე ჰუმანურმა, ყველაზე დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ყველაზე სრულად და ეფექტიანად გამოხატავს არა მარტო მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

ეერასოდეს ვერ შეიქმნებოდა კომუნისტთა და უპარტიოთა ერთიან ფრონტად ბლოკს, ჩვენს პოლიტიკაში რომ არ გამოხატავდეთ ხალხის ინტერესებს, რომ არ ვსარგებლობდეთ მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ნდობითა და მხარდაჭერით. როგორც ლენინი აღნიშნავდა, ჩვენ, კომუნისტები ხომ უმეცრესობა, შრომელთა მასების ზღვაში წვეთი ვართ და მასიებს ვმართავთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სწორად ვსაზღვრავთ მათი ნდობით და ვგრძნობთ მათ ინტერესებს. ეს და მხოლოდ — ეს არის ჩვენი წარმატების გარანტია.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს არ სჭირდება სპეციალური წინასაარჩევნო პროგრამები. ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამა — ამომწურავი სისრულითა და სიცხადით ჩამოყალიბებულია ისეთ ეპოქალურ დოკუმენტებში, როგორიც არის სკკპ პროგრამა, პარტიის XXIV კრების გადაწყვეტილებანი, დირექტივები მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების სესიების, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, ყველა ამომრჩეველისადმი და ყველა მოქალაქისადმი, რომელშიც მოცემულია ჩვენი პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა.

ეს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია.

საქართველოს კომპარტია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმატება ჩვენს რესპუბლიკაში გაპირობებულია ისეთი ისტორიული გადაწყვეტილებებითაც, როგორიც არის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ამხანაგებო!

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებით შთაგონებული, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო პირსპექტივებით აღფრთოვანებული მრავალი ორატორი შესანიშნავად გამოვიდა აქ და გამოხატა თავისი გრძნობები და აზრები, თავისი სიყვარული კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა მთავრობის მიმართ.

აქ ჩემს მიმართაც ითქვა გულთბილი, გულწრფელი სიტყვები, რომლებსაც მთლიანად მივაკუთვნებ ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, კომუნისტებისა და უპარტიოების სახელოვან ბლოკს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, რომელთა მარჯვენა ახდენს სასწაულს,—ამენებს ახალ საზოგადოებას, კომუნისტურ საზოგადოებას ჩვენს დედამიწაზე.

მადლობას მოგახსენებთ გულწრფელი სიტყვებისათვის და მდაბლად ვიარავთ თავს თქვენი გმირული საქმეებისათვის, სწორედ თქვენ კიდევ უფრო ალამაზებთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს თანამდროვეობას და ჩვენს წინ გადაწლილთ ზრდისა და აყვავების გიგანტურ და არნახულ პერსპექტივებს.

ნებს უფრეს მადლობას მოვახსენებ ამომრჩეველებს, რომლებმაც მაღალი ნდობა გამომიცხადეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს.

— მე ერთხელ უკვე ვთქვი და დღესაც ვამბობ ამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო შემდეგი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცალკევებულ კრებაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ერთ-ერთი საუბრის დროს თქვა, როცა ადამიანს ირჩევენ, როცა მას ნდობას უცხადებენ მასიები, ამ მომენტიდან იგი ადადის თვისებრივად ახალ მდგომარეობაში, ამ მომენტიდან იგი თითქმის არ ეკუთვნის თავის თავს, მან მთლიანად უნდა მიუძღვნას თავისი თავი პარტიისა და ხალხის საქმესო. ამ ბრძნულ სიტყვებს პირდაპირი კავშირი აქვს დეპუტატებთანაც, ხალხის ამ ნამდვილ მსახურებთანაც.

ყველა დეპუტატობის კანდიდატს, მათ შორის ჩემს, ცხოვრების უმაღლესი მიზანია ხალხის, პარტიისა და სახელმწიფოსადმი სამსახური. სხვა ინტერესი, შემიძლია დაგარწმუნოთ, ჩვენ, კომუნისტებს, არ გვქონია, არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს!

ყოველი შეგნებული კომუნისტი მთელ თავის ძალ-ღონეს, ნიჭს ახმარს, და თუ საჭირო გახდა მთელ სიცოცხლესაც წვეთ-წვეთად შეალევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიადი საქმის გამარჯვებას.

მე, ისევე როგორც ყველა კომუნისტს, არა მაქვს იმაზე უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე ის, რომ ვემსახურებოდე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს!

დიდად ვიფიქრებ ნდობას, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ, და სასაროდ აღგთქვამთ, რომ ყველა-ფერ ძალ-ღონეს ვიხმარ, რაც კი ძალა მაქვს ჩვენი სანუკვარი მიზნის მოსაღწევლად — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

პარტია და ლენინი გვასწავლიან, რომ მხოლოდ ის ხელმძღვანელი იმსახურებს მასების ნდობას, რომელიც ცხოვრობს მათი მისწრაფებით, მოთხოვნებით, საზრუნავით, აზრებით. ჩვენ დიდად ვფიქრობთ ლენინის ამ დებულებას და სათუთად ვიცავთ მას. ეს ჩვენთვის მოქმედების სახელმძღვანელოა.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ყველა შრომითის კოლექტივს, ორგანიზაციას, ყველა მშრომელს, ამომრჩეველს, რომლებმაც მაღალი ნდობა გამომიცხადეს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს.

აქ გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი ჯერ გადაუწყვეტელი პრობლემა აღძრეს. ჩვენ ეს ამომრჩეველთა განაწესად მივიჩნევა და უაღრესად გულმოდგინედ შევისწავლით ორატორების მიერ აქ დასმულ ყოველ საკითხს.

ეს საკითხები მსჯელობის საგანი იქნება პარტიის ლენინის რაიკომსა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ომსკომში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რესპუბლიკის მთავრობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და საჭირო ღონისძიებებიც განხორციელდება.

ამხანაგებო!

საარჩევნო კამპანია დამამთავრებელ ფაზაში შედის. ჩვენ მოგმართავთ რესპუბლიკის ხალხელოვან მუშათა კლასს—მთელი ძალ-ღონე მოახმაროს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის იდეალების გამარჯვებას.

საქართველოს კომპარტია რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შეხვდება ახალი გამარჯვებებით კომუნისტურ მშენებლობაში და თავის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სახელოვანი ბლოკის დიუპატობის ღირსეულ კანდიდატებს.

დიდება რესპუბლიკის მუშათა კლასს — ოთხჯერ ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერების შემოქმედს.

დიდება გმირი მუშათა კლასის რიგებიდან წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატებს!

ჩვენ მივმართავთ სოფლის მშრომელებს, სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, ახალი ქართული სოციალისტური სოფლის შემოქმედთ, მატერიალური დოვლათის შემქმნელებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის ლენინური ავრარული პოლიტიკის გამარჯვებას.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებს!

ფასდაუდებელია მათი წვლილი XX საუკუნის 70-იანი წლების ქართული სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

ოთხგზის ორდენოსანი განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს — დიდება!

დიდება სახელოვანი სოფლის მშრომელთა რიგებიდან დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს!

ჩვენ მივმართავთ ჩვენს სახელოვან საბჭოთა ინტელიგენციას, მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

მოვუწოდებთ მათ თავიანთი ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებს, ვიანალიზებ ამ ბლოკის გამარჯვება ნიშნავს საზოგადოების ინტელექტუალური ძალების არნახულ აყვავებას, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვართა შეერთებას მომავლისებურ, განვითარებულ სოციალიზმის უპირატესობებთან, სახავს ჩვენი საზოგადოების მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მთელი კულტურის შემდგომი განვითარების არნახულ ჯოჯოხეთ ჯორნოზონტებსა და პერსპექტივებს.

დიდება საბჭოთა ინტელიგენციას — კომუნიზმის მშენებელს!

დიდება საბჭოთა ინტელიგენციის რიგებიდან დასახელებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს!

ჩვენ მივმართავთ ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომელთა ნორჩი ენერგია და ნიჭი საოცრებას ახდენენ ქართულ მიწა-წყალზე.

ახალგაზრდობის ეკუთვნის მომავალი, მის ხელთ არის კომუნისტური მშენებლობის ბედი ჩვენს ქვეყანაში. ამს ხედა წილად უდიდესი პატივი — განავითაროს სოციალური პროგრესი, XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დამლევსა და მეორე ათასწლეულის დამდეგის ისტორიულ მიჯნაზე რევოლუციურად გარდაქმნის სამყარო.

ეს დიდი ისტორიული მისიაა, და ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამ მისიის ღირსი იყოს.

ჩვენ მოვუწოდებთ მას თავისი ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

დიდება საბჭოთა ახალგაზრდობის რიგებიდან დასახელებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს!

ჩვენ მოგმართავთ — რუსეთის სამი რევოლუციის, სამოქალაქო და სამამულო ომებისა და სოციალისტური შრომის სახელოვანო ვეტერანებო, და მოგიწოდებთ თქვენი ხმა მისცეთ კომუნისტებისა და და უპარტიოების ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებს.

თქვენი სახით ჩვენ პატიცეს ვცემთ, ვიფასებთ კომუნიზმის მშენებელთა ლეგენდარულ თაობებს, რევოლუციური ბარიკადების, საომარი ასპარეზისა და შრომითი ვახტების გმირებს, რომლებმაც უკიდავი ფურცლები ჩაწერეს ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობის მატიანეში.

დიდება რევოლუციის, სამოქალაქო და სამამულო ომების გმირებს, სოციალისტური შრომის ვეტერანებს — ჩვენი დროის ნამდვილ გმირებს!

დიდება ლენინური გვარდიის ამ სახელოვანი კოპორტის წარმომადგენელ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს!

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები — საბჭოები, პროფკავშირები, ლენინური კომკავშირი ყველაფერს გააკეთებენ, რათა უზრუველყონ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ახალი ტრიუმფული გამარჯვება.

ამ დღეებში მთელი ჩვენი ყურადღება, ყველა კომუნისტისა და უპარტიოს გული და გონება მიმართულია მოსკოვისაკენ, კრემლის კონგრესთა სასახლეში, ტრიბუნიდან ხალხთა მეგობრობისა და ეროვნული ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს, საბჭოთა ქვეყნის პირველი, ლენინური ცენტრალური კომიტეტის პირველი კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები, ხმას რომ აძლევენ კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის კანდიდატებს, უპირველეს ყოვლისა ხმას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, პოლიტბიუროს, საბჭოთა ქვეყნის პირველ დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებო!

საქართველოს კომუნისტური პარტია მოგიწოდებთ

— ყველანი არჩევნებზე!

მიეცით თქვენი ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებს.

ამით თქვენ ხმას მისცემთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიადი საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას — ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ ბლოკს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

(დეპუტატობის კანდიდატს ხიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატის სტატუსი მოქმედებს

ნ ი ვ ნ ი ს ს ა ბ ო ლ ო ო ს ხ ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მთელმა რიგმა დეპუტატებმა, რომლებიც სარგებლობენ სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე 1972 წლის 20 სექტემბერს მიღებული სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატების სტატუსის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონით მინიჭებული უფლებათ, შეკითხვებით მიმართეს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის საბოლოო სხდომის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ ი. აბაშიძეს.

დეპუტატთა შეკითხვები წაიკითხეს სესიაზე.

ამ შეკითხვებს უპასუხეს მოცემულ საკითხებში კომპეტენტურმა პირებმა — საქართველოს სსრ მთავრობის წევრებმა.

ქვემოთ მოგვყავს დეპუტატთა შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები.

ბოლნისის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა: ტაპანის მასივის ბოლნისის რაიონში უკვავი 600 ჰექტარზე მეტი შესანიშნავი მიწა, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მისი გაწყლოვანების შემთხვევაში ყველა სახეობის სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენება-მოყვანისათვის. მასივის გაწყლოვანება კი, როგორც ცნობილია, დამოკიდებული ნიანგრის ტბაზე წყნარის წყალსაცავის შენებლობაზე.

შეიძლება თუ არა ამ წყალსაცავის მშენებლობის დაჩქარება?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის **დეპუტატ ე. ჯაფარიძის პასუხი:**

მართლაც, წყალსაცავი, რომლის ტევადობა 200 მილიონ კუბურ მეტრ წყალს შეადგენს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არსებული სარწყავი სისტემის წყალმომარაგებას, საშუალებას მოგვცემს გავაწყლოვანოთ 16.450 ჰექტარი მიწები ბოლნისის, მარნეულისა და თეთრწყაროს რაიონებში. აქ არის ტაპანის მასივიც, რომელსაც 600 ჰექტარზე მეტი მიწა უკავია.

წყნარის წყალსაცავი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობაა, რომლის მშენებლობის ღირებულება 50 მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო სარწყავი სისტემის გაყვანა 16.450 ჰექტარ ტერიტორიაზე დაჯდება დაახლოებით 36 მილიონი მანეთი, აქედან ტაპანის მასივის გაწყლოვანებას მოხმარდება 15 მილიონი მანეთი.

სახელმწიფო საგეგმო კომისია და რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო გაეცნენ ბოლნისის რაიონის დეპუტატთა წინადადებას წყნარის წყალსაცავის მშენებლობის დაჩქარების შესახებ და შეაფასეს ეს ბოლნისელ ამ მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულ ვადაზე ადრე. აღნიშნული ბლატო გაწყლოვანება განხორციელდება წყნარის წყალსაცავის მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

ვვინდა ვუთხრათ ბოლნისის რაიონის დეპუტატებს, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებანი დაკავშირებულია დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან და სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან, და ამიტომ მშენებლობის უწინ დამტკიცებულ ვადებს შეცვლა დაკავშირებულია დიდ სძენელეებთან, რადგან ეს იწვევს სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის ვადების გაჭიანურებას.

დეპუტატ ბ. არაითანაშვილის შეკითხვა: რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შარშანდელმა პრაქტიკამ მთელი ხაზოგადოებრიობა დაარწმუნა, რომ ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში მყარდება სათანადო წესრიგი. ჩვენ მთელი გულითა და სულით მივესალმებით ამას და გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამიერიდან ალარ მოგვიხდება დაგუბრუნდეთ ამ საკითხს, რომ წესრიგი საბოლოოდ დამყარდება.

გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ იწარმოებს მიღება წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და რა კეთდება ამ მიმართულებით?

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის **დეპუტატ გ. ჯიბლაძის პასუხი:**

ახლანდელი სესიამ განიხილა უმნიშვნელოვანესი საკითხები. სასიხარულოა, რომ ორატორთა გამოსვლებში ეკრძნობოდა დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გულისტკივილი ჭარკიდევ არსებული ხაკოლვანებების გამო, ზრუნვა ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის. შემოსული შეკითხვა ადგილი ნაკარნახევია დეპუტატის პატრიოტული გრძნობებით და მინდა აღვნიშვნო, რომ ორთუ მყარდება ნაკარნახევნო ამ საკითხებზე. ეს ჭარ კიდევ საქმაოდ ცოდნა, ეს ჭარ კიდევ საქმაოდ ენერგია, ეს ჭარ კიდევ საქმაოდ ენერგია, ეს ჭარ კიდევ საქმაოდ ენერგია

დეპუტატის სწავლული მოქმედება

(დასასრული)

ქართველი მწერლები დიდი აღტაცებით შეხვდნენ პარტიის მოწოდებას — რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი სახელოვანი მუშებისა და კოლმეურნეების ცხოვრებას, რათა შემდეგ ნაწარმოებებში ასახონ მათი გმირული აღმშენებლობითი შრომა. ამ მოწოდების პასუხად ქართველი მწერლების რამდენიმე ჯგუფი შემოქმედებითს მივლინებაში გაეგზავნა. თქვენ ალბათ წაიკითხავთ უკანასკნელ ხანს შექმნილი ნაწარმოებები, რომელთა ავტორები არიან ლადო მრელაშვილი, გურამ ფანჯიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, ხუტა ბერულავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, გიორგი ნატროშვილი, ნოდარ წულიასკირი, მიხეილ ლობაცკი, და სხვები. გამომცემლობა „მეცნიერება“ უკვე გამოუშია წიგნების სერია „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“.

კარგად მესმის, ელექტრონიკოგონშემკეთებელთა ინტერესი იმისადმი, თუ როდის გამოვა ქართველი მწერლების ესა თუ ის ნაწარმოები მუშებზე, რას გეიამბობენ ისინი.

მწერლებს კი საამბობი ბევრი რამ აქვთ. გახვეთ „კომუნისტში“ წაიკითხე პარტიის წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიკომების პლენუმების ანგარიში. წაიკითხე და ვიფიქრე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვალში ვართ ამ რაიონების მშრომელთა წინაშე, სადაც ქართველების გარდა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები ცხოვრობენ. ჩვენ ყველანი ერთი დიდის შვილები ვართ, ძმები ვართ, ერთი ძეძუ გვიწოვია და მეტი ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ ერთმანეთს, და პირველ რიგში, ეს მზრუნველობა ჩვენ, ქართველმა მწერლებმა უნდა გამოვიჩინოთ. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, ამბობს ხალხი. ეს გრძნობა მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის.

განა ხალხთა ძმური სიყვარულის დამადასტურებელი არ იყო გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო, რომელიც მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებთან დარბაზში გაიმართა?!

განა ძმური სიყვარულის დადასტურება არ იყო დღესასწაულობა, რომელიც ჩვენთან, საქართველოში გაიმართა კაკობრიობის სიამაყის, დიდი პუშკინის დაბადების 175 წლისთავის აღსანიშნავად?!

განა შეიძლება დავივიწყოთ ამადელეებელი დღეები, ამას წინათ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რომ მოეწყო?! განა ეს დღეები არ იყო ორი ძმის— ქართველი ხალხისა და აფხაზი ხალხის მეგობრობისა და მოყვრობის დიადი გამოვლინება, მათი დიდი სიყვარულის დემონსტრაცია, საგალობელი?!

მომიტევეთ, თუ დღეს ვერ დაგასახელეთ კონკრეტული ნაწარმოებები, რომლებსაც ხვალ წაიკითხავთ. მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ქართველი მწერლები ხვალ აღწერენ ალაზნისა და ენგურჰესის, მადნეულისა და კოლხეთის მშენებელთა, რუსთავისა და ქუთაისის მუშაკთა, ქართველ მეჩიჩეთა, ყველა იმ ადამიანის გმირულ შრომას, ვინც დღეს თავდადებით ირჯება სკკპ XXIV ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა შესასრულებლად, ვინც ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო უკეთ ცხოვრობდნენ საბჭოთა ადამიანები, კიდევ უფრო დამშვენდეს მათი ცხოვრება.

სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მდივანმა **შ. ყურაყარაშვილმა.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის — ამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში, განსაკუთრებული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. ყველგან ეგრძნობა მშრომელთა მოზეიმეობური პოლიტიკური აქტივობა, ენთუზიაზმი, შემოქმედებითი ძიება და ინიციატივა, დაუცხრომელი შრომა და ბრძოლა იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოთ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობანი, განვამტკიცოთ საბჭოეთის სახელმწიფოს ძლიერება.

წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წელი ისტორიულად მოკლე ეადა, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ამ ბრძოლისა და შრომის უშუალო მონაწილენი არიან, და ამიტომ ეფიქრობ, საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ახლანდელი არჩევნებისათვის მზადების განმსხვავებელი ნიშანი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები მზად არიან კვლავაც კიდევ უფრო თავდადებით იმოქმედონ, მიაღწიონ ახალ მიჯნებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში.

წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებზეც დეპუტატობის კანდიდატები დასახელეს, აგრეთვე საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე, და განსაკუთრებით ახლა, ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების დროს, საქართველოს მშრომელები თავიანთ პირველ სიტყვას — დიდი გულითადი მადლობის სიტყვას უღიგინან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ამ დიდი ზრუნვის გამო, რომელსაც ისინი იჩენენ რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი ამაღლებისათვის, რაც აისახა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ახლანდელა წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ხალხმრავალი კრებებისა და მიტინგების საქმიანი ტონი, ერთსულოვანი მხარდაჭერა და ყოველი მშრომელის მზადყოფნა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში ყოველგვარ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, ახლო წარსულში არსებულ ნეგატიურ მოვლენათა ლიკვიდაციისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას ახასიათებს მაღალი ორგანიზებულობა და საქმიანობა, დროზე, დებულების შესაბამისად გაიმართა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების არჩევნები. საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა ის, რომ ამ კომისიათა შემადგენლობაში ტალონებიანი ბიულეტენებით 25.235 კაცი — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ექიმები, მასწავლებლები, სამხედრო მოსამსახურეები, კულტურისა და ხელოვნების, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, პარტიელ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოთა წარმომადგენლები, ქალები, უპარტიოები, ახალგაზრდობა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს. ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს მშრომელებმა პირველ კანდიდატებად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიტალრის-ძე პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე კოსიგინი, პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

ჩვენმა ხალხმა ნდობა გამოუცხადა თავის საუკეთესო შვილებს — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებს, ყველას, ვინც თავი გამოიჩინა თავდადებული შრომით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობით. მაღალი პრინციპულობით.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა უკვე 8 მაისისათვის დაამთავრეს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. სულ რეგისტრირებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 74 დეპუტატობის კანდიდატი. მათ შორის 37 — მუშა და კოლმეურნეა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თბილისელი ხარატი ზურაბ სარალიძე, ტყვარჩელელი მაღაროელი ანატოლი ციბა, მახარაძელი მეჩაიე სვეტლანა ნიკოლაოზვილი და ქობულეთელი ქეთევან გოგიტიძე, რომლებიც სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლეს საბჭოს დეპუტატები არიან, კვლავ დასახელეს დეპუტატობის კანდიდატებად. ეს მათი ნაყოფიერი დეპუტატური მოღვაწეობის მაღალი აღიარებაა.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის 22 ქალია, 19 — უპარტიო, მათ შორის 6 კომკავშირელი, 17 კაცი 30 წლამდე ასაკისაა.

ახლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩეველებთან. შეხვედრები 10 ივნისისათვის დამთავრდება.

გეგმაზომიერად და მოხანშეფონილად წარმოებს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კონკრეტული გეგმების მიხედვით, რომლებიც პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საარჩევნო კამპანიის წარმატებით მოწყობის მიზნით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა ყველგან არ არის ისე ორგანიზებული, როგორც სასურველი ექნებოდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ ამას წინათ მოაწყვეს შემოწმება და გამოავლინეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ამოცანა ის არის, რომ არჩევნებამდე დარჩენილი დრო გამოვიყენოთ მოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მაღალი ორგანიზებულობის პირობებში დავამთავროთ არჩევნებისათვის მზადება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს აგრეთვე შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაკეთონ ბევრი რამ ამ მხრივ.

მთავარია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფა. საჭიროა ეფექტიანად გამოვიყენოთ აგიტატორთა 100-ათასიანი არმია, რათა გავაჩაღოთ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, უფრო ფართოდ ჩავაბათ ამ მუშაობაში აქტივი, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი იყოს სატელევიზიო კედლებით, ტექნიკური საშუალებებითა და დოკუმენტაციით.

განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაიწესოთ იმ ოლქებსა და უბნებს, რომლებიც განლაგებულია საკურორტო ზონებში ან მაღალმთიან რაიონებში. აქ ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ თვითეულ ამომრჩეველს ჰქონდეს შესაძლებლობა მოიხმაროს მოქალაქეობრივი ვალი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რადგან აქ, სხვა საარჩევნო ოლქებისაგან განსხვავებით, ამომრჩევლებს ეძლევიან სამ-სამი ბიულეტენი — კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისა საქართველოს სსრ რესპუბლიკისაგან და ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისა — ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქისაგან.

წინასაარჩევნო კრებები და ამომრჩეველთა [illegible] ... ეტაპზე ... ეტაპზე ... ეტაპზე